GEEN

შპს ჯონოული 2
დავით გამრეკელის ქუჩა #19
თბილისი, 0160, საქართველო

LLC Jonouli 2
19 David Gamrekeli St.,
Tbilisi, 0160, Georgia

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს

ასლი: საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების სამინისტროს

N 006/21 **15-06-2021**

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით 2018 წლის 14 დეკემბერს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში შპს „ჯონოული 2"-ს მიერ წარმოდგენილ იქნა ცაგერის მუნიციპალიტეტში, მდინარე ჯონოულზე 32,0 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (ჯონოული 2 ჰესი) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიში, რომელზეც სამინისტროს მიერ 2019 წლის 29 იანვარს გაიცა სკოპინგის დასკვნა N9 (29.01.2019წ.) (2019 წლის 19 თებერვლის ბრძანება N 2-158).

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის, ამავე კოდექსის მე-11-ე მუხლის შესაბამისად შპს „ჯონოული 2"-მა შეიმუშავა „ჯონოული - 2 ჰესი"-ს მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარუდგინა სამინისტროს 2020 წლის 30 აპრილის N 6655 განცხადებით.

ამასთანავე, 2020 წლის 23 ივლისს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მიმართა შპს „ჯონოული-2"-ს წერილით N 7005/01, „ჯონოული 2 ჰესის" პროექტის გზშ-ს ანგარიშის თაობაზე, რომელიც ეხებოდა სოფლების სასმელი წყლით მომარაგებას და მდინარეზე წისქვილების ფუნქციონირების საკითხს, რის საფუძველზეც შპს „ჯონოული-2"-ს დაევალა დაინტერესებული საზოგადოების(ადგილობრივი მოსახლეობის) ინფორმირება, კომპეტენტური პასუხების მომზადება და სამინისტროში შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა, ხოლო ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენამდე, სამინისტრო აჩერებდა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებას. ზემოაღნიშნული საკითხების დაზუსტების მიზნით კომპანია აწარმოებდა მოლაპარაკებებს ადგილობრივ მოსახლეობასთან, რის გამოც შპს „ჯონოული - 2"-ის მიერ აღარ განხორციელებულა ადმინისტრაციული წარმოების გაგრძელების მიზნით სამინისტროში განახლებული გზშ-ს ანგარიშის წარდგენა.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 10555
"16" 06 2021
03

GEEN

შპს ჯონოული 2
დავით გამრეკელის ქუჩა #19
თბილისი, 0160, საქართველო

LLC Jonouli 2
19 David Gamrekeli St.,
Tbilisi, 0160, Georgia

2021 წლის 10 მაისს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ გაიცა ბრძანება N2-651 საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 19 თებერვლის N2-158 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ, კერძოდ:

საქართველოს ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-9 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 61-ე მუხლის საფუძველზე, თუ საქმიანობის განმახორციელებელი სკოპინგის დასკვნის დამტკიცებიდან 2 წლის ვადაში ვერ მიიღებს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას ამ კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად, სკოპინგის დასკვნის დამტკიცების შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალადაკარგულად ცხადდება.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-9 მუხლის, და ამავე კოდექსის I დანართის 22-ე პუნქტის საფუძველზე, შპს „ჯონოული - 2"-მა მოამზადა ცაგერის მუნიციპალიტეტში, მდინარე ჯონოულზე 32,0 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (ჯონოული 2 ჰესი) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის განახლებული სკოპინგის ანგარიში.

გთხოვთ განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გასცეთ სკოპინგის დასკვნა.

წერილს თან ერთვის:

- სკოპინგის ანგარიშის ნაბეჭდი ვერსია - 1 ეგზემპლარი;
- სკოპინგის ანგარიშის დანართი - ელ. ვერსია;
- საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა) კოორდინატები, shape ფაილის სახით - 1 CD;
- მერქნული რესურსის აღწერის ანგარიში (ტაქსაცია) - ელ. ვერსია;
- ზურმუხრის ქსელის (სამეგრელო 2 GE0000057) ზემოქმედების შეფასების ანგარიში და დანართი - ელ. ვერსია;

პატივისცემით,

შპს „ჯონოული - 2"-ის დირექტორი

ზურაბ სამსონიძე

შპს „ჯონოული 2"
GEEN Georgia
442570638
JONOULI 2 LLC

T: 591211541
z.samsonidze@gmail.com